

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიში

2019 წელი

ambrolauri.gov.ge

მოგესალმებით,

საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსის” 88-ე მუხლის პირველი ნაწილის შესაბამისად, წარმოგიდგენთ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის ანგარიშს, 2019 წელს განხორციელებულ საქმიანობასთან დაკავშირებით.

ბოლო წლებში ქვეყანაში და კონკრეტულად ჩვენს მუნიციპალიტეტში ბევრი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა, სასიკეთო ცვლილებები თითქმის ყველა სფეროს შეეხო, მაგრამ ეს არ ნიშნავს იმას, რომ პრობლემები აღარ არსებობს. ყველა პრობლემის ერთად მოგვარება ძალიან რთულია, თუმცა ეტაპობრივად ყველაფერი კეთდება იმისთვის, რომ მუნიციპალიტეტი განვითარდეს და ადგილობრივი მოსახლეობის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობა გაუმჯობესდეს.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია ახორციელებს მოსახლეობის საჭიროებებზე მორგებულ პროექტებსა და პროგრამებს. პრიორიტეტული მიმართულებები ითვალისწინებს ინფრასტრუქტურის მოწესრიგებას, ეკონომიკური განვითარებისათვის ხელშემწყობი გარემოს შექმნას, მოსახლეობის სოციალური და ჯანდაცვის მდგომარეობის გაუმჯობესებას, განათლების, კულტურისა და სპორტის სფეროების განვითარებას და სხვა...

აღნიშნული მიზნების მისაღწევად, მერიაში შექმნილია 10 პირველადი სტრუქტურული ერთეული, სადაც თითოეული სამსახური ახორციელებს დებულებით დაკისრებულ უფლება-მოვალეობებს.

❖ ადმინისტრაციული სამსახური

ადმინისტრაციული სამსახური უზრუნველყოფს: ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოებისა და მერიის სამსახურების საქმისწარმოებას. ადამიანური რესურსების მართვას, ადგილობრივი თვითმმართველობის ორგანოების ურთიერთობას მოქალაქეებთან, იურიდიულ პირებთან, საზოგადოებასთან, მერიის ოფიციალური ღონისძიებების დაგეგმვასა და ორგანიზებას, მერიის საქმიანობის სამართლებრივ უზრუნველყოფას.

ადმინისტრაციულ სამსახურს ჰყავს ხელმძღვანელი, ხელმძღვანელის მოადგილე, სამსახური შედგება შემდეგი მეორადი სტრუქტურული ერთეულებისაგან: საზოგადობასთან ურთიერთობის განყოფილება, იურიდიული განყოფილება, საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება და მერის წარმომადგენლებთან კოორდინაციის განყოფილება.

ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი საქმიანობას წარმართავს მერიის დებულების მე-9 მუხლის შესაბამისად. განაწილებულია ფუნქციები ყველა საჯარო მოხელეზე.

ადმინისტრაციული სამსახურის ხელმძღვანელი, ხელმძღვანელის მოადგილე და მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელები მონაწილეობენ მერიის სხვადასხვა კომისიებისა და სამუსაო ჯგუფების მუშაობაში

სამსახური ახორციელებს „მიწის ნაკვეთებზე უფლებათა სისტემური და სპორადული რეგისტრაციის წესისა და საკადასტრო მონაცემების სრულყოფის შესახებ“ საქართველოს კანონით გათვალისწინებული უფლებამოსილების ფარგლებში მუნიციპალიტეტის მერის წარმომადგენლების მიერ ადგილზე დათვალიერების ოქმის შედგენასა და საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოსთვის მიწოდების პროცესში, როგორც სამართლებრივი

კონსულტაციის ასევე საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში განთავსების პროცესში, საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემაში 2019 წელს განთავსებულია ადგილზე დათვალიერების 3000 ოქმი.

იურიდიულ განყოფილებას მიერ 2019 წლის 01 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით ელექტრონულ სისტემა edocument.ge-ში მომზადდა: 1371 დავალება, 1902 სამართლებრივი აქტი, (MMS პროგრამაში 588 სამართლებრივი აქტი), ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების 33 პროექტი და განკარგულების 40 პროექტი, სასამართლო დავებში ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერია წარმოდგენილი იყო 24 დავასთან დაკავშირებულ სამოქალაქო /ადმინისტრაციულ საქმეზე, შესაბამისად იურიდიული განყოფილების მიერ იქნა მომზადებული სასამართლო საქმის წარმოებისთვის საჭირო სარჩელი და შესაგებელი, ასევე სამართლებრივ კონსულტაცია გაუწიეს მერიის სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულ მოხელეებს.

მეორადი სტრუქტურული ერთეული მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილებას 2019 წლის 01 იანვრიდან 2020 წლის 01 იანვრამდე პერიოდში რეაგირებისათვის დაეწერა 1423 - კორესპოდენცია, რომელზეც მომზადდა გასული დოკუმენტი (ცნობა), ასევე მერის წარმომადგენლებთან ურთიერთობის განყოფილების თანამშრომლობის ჩართულობით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის სოციალური პროგრამებისა და სოციალური საკითხების შემსწავლელი მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის მიერ განხილულ იქნა 390 განცხადება და მომზადდა სამუშაო ჯგუფის ოქმები. მერის წარმოადგენლებთან კორდინაციის განყოფილება ყოველდღიურად იღებს ინფორმაციას ადმინისტრაციული ერთეულებიდან. ყველა თემის პრობლემა თემატურად შესწავლილია და მერიის სამსახურებისთვის ცნობილია.

განყოფილების მიერ შესრულებული იქნა სხვადასხვა სახის დავალებები, კერძოდ: დანაშთი ქონების, მცენარის ადგილწარმოშობის, საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს, საქართველოს ნოტარიუსთა პალატის წერილების პასუხები, ცნობები საცხოვრებელი ადგილის, ცნობები ენერგო პრო-ჯორჯიაში და საქორგგაზში წარსადგენი, ცნობები ოჯახის შემადგენლობის შესახებ, შსს სამინისტროს წერილების პასუხები, გარდაცვალების აქტები, მაღალმთიან დასახლებაში მოქალაქეთა მუდმივად ცხოვრების სტატუსის მონიტორინგი, მუნიციპალიტეტში შემავალი სოფლების გზებისა და წყლების პრობლემებზე ინფორმაციების მოძიება.

საზოგადოებასთან ურთიერთობის მეორადი სტრუქტურული ერთეული უზრუნველყოფს: ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის საქმიანობის ინფორმირებას საზოგადოებაში, გეგმავს მუნიციპალიტრეტის მერიის მოსახლეობასთან შეხვედრებს, მერიის საქმიანობის შესახებ მედიასივრცესთან ურთიერთობას, სწავლობს მოსახლეობის პრობლემებს.

მერიის მიერ განხორციელებული და დაგეგმილი სამუშაოების შესახებ მოსახლეობის ინფორმირების თვალსაზრისით შეიქმნა მუნიციპალიტეტის ოფიციალური ვებგვერდი და ეტაპობრივად მიმდინარეობს მისი სრულყოფა, ასევე გაკეთდა Facebook გვერდი, სადაც ყოველდღიურ რეჟიმში იდება ინფორმაციები.

მ/წ აპრილიდან გაფორმდა ხელშეკრულება ყველაზე რეიტინგულ საინფორმაციო სააგენტო - „ინტერპრესნიუსთან“, სადაც აღნიშნული პერიოდის განმავლობაში, ინფორმაცია რაჭის შესახებ განთავსდა 11-ჯერ. გარდა ამისა, ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიასთან აქტიურად თანამშრომლობენ შემდეგი სააგენტოები: „გარდიანი“, „აიპრესი“, „იმედინიუსი“, „ფორტუნა“ და სხვა... მიმდინარე ორი თვის მანძილზე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის შესახებ სხვადასხვა სახის ინფორმაცია წამყვანი საინფორმაციო პორტალების მიერ გაშუქდა 20-ჯერ.

საზოგადოებასთან ურთიერთობის განყოფილების მიერ მიღწეულია თანამშრომლობა მერის წარმომადგენლებთან და მკვეთრად გაზრდილია მოსახლეობის ინფორმირება მერიის საქმიანობის შესახებ.

აღნიშნულის გარდა, ყოველდღიურ რეჟიმში განყოფილების ხელმძღვანელი თანამშრომლობს მთავრობის ადმინისტრაციასთან და სხვადასხვა სამინისტროსთან, ეგზავნებათ მოთხოვნილი ინფორმაციები, მონაწილეობს სხვადასხვა ღონისძიების დაგეგმვა-განხორციელებაში, ამზადებენ წერილებს და მონაწილეობენ საჯარო ინფორმაციის მომზადებაში. სულ გაიცა 32 საჯარო ინფორმაცია.

განყოფილება გეგმავს მერის თათბირებს, ადგენს საზოგადოებასთან შეხვედრის გრაფიკებს, ორგანიზებას უწევს სხვადასხვა ღონისძიებებს.

საქმისწარმოებისა და ადამიანური რესურსების მართვის განყოფილება უზრუნველყოფს: ადამიანური რესურსების მართვის ორგანიზებას, საკადრო პოლიტიკის ძირითადი მიმართულებების შემუშავებას; აკონტროლებს მერიის საკადრო პოლიტიკის განხორციელებას და ადამიანური რესურსების მართვას; ადგენს მუნიციპალიტეტის მოსამსახურეთა თანამდებობრივ ინსტრუქციებსა და სამუშაოთა აღწერილობას; აფორმებს მოხელეთა სამუშაოზე მიღებას, გადაყვანას, გათავისუფლებას, შვებულებაში გასვლას და მივლინების დოკუმენტებს, აღრიცხავს და აკონტროლებს შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობების დაცვას, ამზადებს; მოსამსახურეთა საკლასო ჩინების მინიჭებისა და კანონით დადგენილი დანამატების განსაზღვრის საკითხებს, საკონკურსო-საატესტაციო კომისიის კონკურსისა და ატესტაციის ჩატარებისათვის საჭირო დოკუმენტაციას; ორგანიზებას უწევს მოსამსახურეთა კვალიფიკაციის ამაღლების დაგეგმვას, ზედამხედველობს საქმისწარმოებას, უზრუნველყოფს საჯარო სამსახურის ბიუროს მიერ შემუშავებული ინსტრუქციის შესაბამისად მერიის მოხელეთა შეფასებას.

მ/წ განახლდა პირველ კვარტალში ადამიანური რესურსების მართვის ავტომატიზებული სისტემა (eHRMS), ელექტრონულად უზრუნველყო მერიის თანამდგებობის პირებისა და მოსამსახურეთა პირადი საქმეებისა და სხვა საკადრო დოკუმენტების შედგენა და აღრიცხვა eHRMS-ის მეშვეობით, შეიქმნა მერიაში დასაქმებულთა ერთიანი ელექტრონული მონაცემთა ბაზა.

მერიაში ვაკანტური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადდა 12 დახურული, 6 ღია და 1 გამარტივებული კონკურსი. გაფორმდა შრომითი ხელშეკრულებები.

მომზადდა სამართლებრივი აქტები მერიის საჯარო მოსამსახურეთა დანიშვნის, შვებულების, მივლინების, დისციპლინური პასუხისმგებლობისა და სხვადასხვა სახის წერილები eDokument-ში. გამოიცა 2394 ადმინისტრაციული, 129 საკადრო, 217 შვებულების და 180 მივლინების ბრძანება. შემოვიდა და გატარდა 10280 წერილი, 4769 შიდა დოკუმენტი და გავიდა 9224 წერილი. განყოფილება აქტიურად თანამშრომლობს „საჯარო სამსახურის ბიუროსთან“. პერიოდულად ხდება დოკუმენტების დაარქივება.

ადმინისტრაციული სამსახური მუშაობდა მერიის წლიური სამუშაო გეგმის შესაბამისად. სისტემატურად ხორციელდებოდა წერილების შესრულებაზე კონტროლი. ვადაგადაცილებული წერილები მკაცრად კონტროლდება.

ადმინისტრაციული სამსახური კოორდინირებას უწევს სამოქალაქო მრჩეველთა საბჭოს მუშაობას, სულ ჩატარდა მრჩეველთა საბჭოს 3 შეკრება, რაც გაფორმდა შესაბამისი ოქმებით.

სამსახურმა შეადგინა მერიის მოხელეთა გადამზადების სასწავლო გეგმა, რომელიც დამტკიცებულია საკრებულოს მიერ.

❖ საფინანსო სამსახური

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საფინანსო სამსახური საქმიანობას ახორციელებს ადგილობრივი თვითმმართველობის შესახებ საქართველოს ორგანული კანონის, საქართველოს საბიუჯეტო კოდექსის , მუნიციპალიტეტის საკრებულოს და მერიის სამსახურების დებულების და სხვა ნორმატიული აქტებით შესაბამისად.

საფინანსო-საბიუჯეტო სამსახურის მიერ 2019 წლის განმავლობაში განხორციელდა შემდეგი სახის სამუშაო:

2019 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შემდეგ მოხდა შემოსავლებისა და გადასახდელების ელექტრონულ ბიუჯეტში ასახვა: ჯერ შეიქმნა წლიურ ფაილებში, ხოლო შემდეგ - კვარტალური ფაილების შექმნა და ყველა პროგრამულ კოდზე გამოყოფილი საბიუჯეტო ასიგნებები დაიყო კვარტალების მიხედვით.

კვარტალურად დაიყო და ელექტრონული ბიუჯეტის ფორმაში გადატანილ იქნა მუნიციპალიტეტის მიერ დაფუნებული ყველა ა(ა)იპ-ის წლიური სუბსიდიის და საკუთარი შემოსავლების პარამეტრები.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის ნაშთი დაიყო მუნიციპალიტეტის საჭიროების მიხედვით, გადანაწილდა შესაბამის საბიუჯეტო კოდებზე და შეტანილ იქნა ელექტრონულ ბიუჯეტში. ასევე ასახულ იქნს ბიუჯეტში 2018 წელს სხვადასხვა ფონდიდან გამოყოფილი თანხის ნაშთები.

დროულად მომზადდა, საკრებულოზე დამტკიცდა და ელექტრონულ ბიუჯეტში აისახა 2019 წელს საქართველოს რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების და მაღალმთიანი დასახლების განვითარების ფონდებიდან, ამბროლაურის მუნიციპალიტეტისათვის გამოყოფილი თანხები. ბიუჯეტის შემოსავლების ნაწილში, სხვა შემოსავლებსა და არაფინანსურ აქტივებში შემოსავლების ზრდის კვალობაზე მიღებული გაზრდილი შემოსავლები მიმართულ იქნა წარმოშობილი საჭიროებების მიხედვით და აისახა შესაბამის საბიუჯეტო კოდებზე .

წარმოქმნილი პრობლემების გადასაჭრელად, მუნიციპალიტეტის სამსახურებისა და ა.ა.ი.პ-ების ხელმძღვანელების მომართვის საფუძველზე, განხორციელდა ბიუჯეტის პრიორიტეტებს, პროგრამებს და ქვეპროგრამებს შორის თანხების გადანაწილება, ასევე განხორციელდა შიდა მუხლობრივი ცვლილებები ელექტრონული ბიუჯეტის სისტემაში.

2019 წლის განმავლობაში საბიუჯეტო განყოფილების მიერ მომზადდა და საკრებულოს განსახილველად გადაეგზავნა ბიუჯეტის ცვლილების 14 პროექტი, რომელთა უმრავლესობას წარმოადგენდა სხვადასხვა სახელმწიფო ფონდებიდან გამოყოფილი თანხების ასახვა.

პერიოდულად ხდებოდა მერის ბრძანების შესაბამისად, სარეზერვო ფონდიდან თანხების გამოყოფა და მისი აღრიცხვა ელექტრონული ბიუჯეტის შესაბამისი მხარჯავი დაწესებულების კოდზე.

ყოველთვიურად ხორციელდებოდა საჭირო ცნობების მიწოდება, რაჭა-ლეჩხუმ-ქვემო სვანეთის ადმინისტარციულ-ტერიტორიულ ერთეულებში სახელმწიფო რწმუნებულ-გუბერნატორის ადმინისტრაციის შესაბამის განყოფილებაში, მოთხოვნის შესაბამისად.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურს მიეწოდებოდა ყოველკვარტალური ანგარიშები, მათ მიერ მოწოდებული ფორმების შესაბამისად.

შეძლებისდაგვარად ხორციელდებოდა შემოსულ წერილებზე დროული რეაგირება, დროულად მიეწოდებოდა ანგარიშები ფინანსთა სამინისტროს.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტის პროექტის, ასევე ბიუჯეტის დანართის შემუშავება განხორციელდა საქართველოს ფინანსთა მინისტრის 2018 წლის 27 ივლისის ბრძანებით დამტკიცებული პროგრამული ბიუჯეტის შედგენის ახალი მეთოდოლოგიის შესაბამისად.

2018 წელს დამტკიცებული ახალი მეთოდოლოგიით განსაზღვრული ფორმატით ბიუჯეტის შედგენა მუნიციპალტეტებისათვის სავალდებულოდ ჩაითვალა 2019 წლიდან, 2020 წლის ბიუჯეტის მომზადებისთვის. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო სამსახურის მიერ შემუშავდა და ახლებურად იქნა წარმოდგენილი 2020 წლის ბიუჯეტის ფორმატი და პროგრამული ბიუჯეტის დანართი.

2019 წლის მარტის თვეში სამსახურის მიერ დაიწყო პრიორიტეტების დოკუმენტზე მუშაობა. პერიოდულად მიმდინარეობდა პრიორიტეტების დოკუმენტზე მომუშავე მუდმივმომქმედ კომისიასთან სამუშაო შეხვედრები და ინფორმაციების გაცვლა. დროულად იქნა შედგენილი 2020-2023 წლების პრიორიტეტების დოკუმენტი. 2019 წლის დეკემბრის თვეში დასრულდა და 25 დეკემბერს დამტკიცდა 2020 წლის ბიუჯეტი.

საკრებულოზე განსახილველად მომზადდა, 2019 წლის ბიუჯეტის შესრულების, ყოველთვიური და ყოველკვარტალური ანგარიშები, რაც მოიცავს ინფორმაციას, საბიუჯეტო კლასიფიკაციის მიხედვით თითოეულ საბიუჯეტო კოდზე, საბიუჯეტო შემოსულობების საკასო მაჩვენებლებს. მზადდება 2019 წლის წლიური ბიუჯეტის შესრულების ანგარიშგება.

საბუღალტრო აღრიცხვისა და სახაზინო მომსახურების განყოფილების მიერ დროულად ხდებოდა საგადახდო ვალდებულებების და მოთხოვნების რეგისტრაცია, რის გამოც მუნიციპალიტეტს 2019 წელში არა ჰქონდა გაუნაღდებელი ვალდებულება. დროულად ხდებოდა მუნიციპალიტეტის შეძენილი და შექმნილი ქონების ბალანსზე აღება. განყოფილების მიერ ხაზინის მეშვეობით მუნიციპალიტეტის ბიუჯეტიდან სხვადასხვა ვალდებულების დასაფარად გადარიცხვები წარმოებდა ელექტრონულ ბიუჯეტში არსებული 43 მხარჯავი კოდიდან. დროულად ხდებოდა ბუღალტრული გატარებების წარმოება.

დაწესებულია ზედამხედველობა მუნიციპალიტეტის საბიუჯეტო ორგანიზაციების მიერ გამოგზავნილ მოთხოვნებზე, რომელიც კონტროლდება ხაზინის ელექტრონული სისტემის მიერ.

საბუღალტრო განყოფილება შესყიდვების სამსახურის მიერ მოწოდებული გაფორმებული ხელშეკრულებების ინფორმაციის საფუძველზე არეგისტრირებდა ხელშეკრულებებს ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში. დარეგისრტრირებილი ხელშეკრულებების შესაბამისად, დროულად ხდებოდა შესაბამისი ვალდებულებების აღება , აგრეთვე პირველადი დოკუმენტების სისტემაში ატვირთვა, ინვოისების მომზადება და ანგარიშსწორებისათვის საჭირო მოთხოვნების მომზადება ხაზინის ელექტრონული მომსახურების სისტემაში. სულ შესაბამისი განყოფილების მიერ ზემოთხსენებული დოკუმენტების თანმიმდევრობის დაცვით, განხორვიელებულია მოწოდებული საქონლის მომსახურების და სამუშაოების 18176,3 ათასი ლარის ღირებულების ტრანზაქცია.

2019 წლის დასაწყისიდან განყოფილების მიერ დროულად ხდებოდა თანამშრომელთა შრომის ანაზღაურებისა და სხვა გასაცემების დარიცხვა, უწყისების შედგენა და გაცემა, საგადასახადო დეკლარაციების შედგენა და შემოსავლების სამსახურის ელექტრონულ სისტემაში მისი დადგენილ ვადებში გადაგზავნა.

სამსახური ასრულებდა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული და სხვა დავალებების შესრულებას.

სამსახურში დასაქმებული თანამშრომლები კვალიფიკაციას იმაღლებდნენ სხვადასხვა ტრენინგებში მონაწილეობით.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2019 წლის ბიუჯეტის წლიური პარამეტრები ასეთია:

რაც შეეხება საშემოსავლო ნაწილი: (ათას ლარებში)

შემოსულობები შესრულებულია 99.7 %-ით. ნაცვლად გეგმიური 16125.7 ათ. ლარისა, შემოსულია 16073.3 ათ.ლარი.

მათ შორის:

გადასახადები შესრულებულია 101.1 % -ით. ნაცვლად გეგმიური 7431,4 ათ. ლარისა, შემოსულია 7513,1 ათ.ლარი.

აქედან:

ქონების გადასახადი შესრულებულია 49,3 %-ით. ნაცვლად გეგმიური 500,0 ათ. ლარისა შემოსულია 246,5 ათ ლარი.

დამატებული ღირებულების გადასახადი შესრულებულია 104,8 %-ით. ნაცვლად გეგმიური 6931,4 ათ. ლარისა შემოსულია 7266,5 ათ ლარი.

გრანტები შესრულებულია 99,6 %-ით. ნაცვლად გეგმიური 7868,8 ათ. ლარისა, მიღებულია7833,4 ათ. ლარის გრანტი.

სხვა შემოსავლები შესრულებულია 98,8 %-ით. ნაცვლად გეგმიური 735,5 ათ. ლარისა, შემოსულია 726,9 ათ. ლარი.

არაფინანსური აქტივების კლებიდან შემოსავლები შესრულებულია 109,7 %-ით. ნაცვლად გეგმიური 90,0 ათ. ლარისა შემოსულია 98,7 ათ ლარი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გადასახდელების მთლიანი გეგმა შესრულებულია 97,0 %. გეგმა 18550,7 ათ ლარი, ფაქტიური შესრულება 18028,0 ათ.ლარი. აქედან

1. ხარჯები სულ ათვისებულია 98,0 %-ით. გეგმიური 8534,0 ათ. ლარი, ათვისებულია 8347,5 ათ. ლარი.

მათ შორის:

- შრომის ანაზღაურება 99,99 %–ით, გეგმიური 1859,6 ათ. ლარი, ათვისება 1856,3 ათ. ლარი.
- საქონელი და მომსახურება 93,0 %–ით, გეგმიური 1552,5 ათ. ლარი, ათვისება 1448,2 ათ.ლარი.
- სუბსიდიები 99,0 %–ით, გეგმიური 3479,1 ათ. ლარი, ათვისებულია 3447,3 ათ. ლარი.
- სოციალური უზრუნველყოფა 98 %, გეგმიური 510,9 ათ. ლარი, ფაქტიური 500,7 ათ. ლარი.

- სხვა ხარჯები 97,0 %, გეგმიური 1078,2 ათ. ლარი, ათვისებულია 1041,1 ათ. ლარი.

2. მიღებული სესხის პროცენტი დაფარულია 100,0%–ით, გეგმიური 53,8 ათ. ლარი, ათვისება 53,8 ათ. ლარი.

3. არაფინანსური აქტივების ზრდა 97,0 % გეგმიური 9962,9 ათ.ლარი, ათვისებულია 9626,7 ათ. ლარი.

❖ ინფრასტრუქტურა და არქიტექორული ზედამხედველობა

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში 2019 წელს ინფრასტრუქტურული ობიექტების პროექტები ხორციელდებოდა საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტით, რეგიონებში განსახორციელებელი პროექტების ფონდიდან და ადგილობრივი ბიუჯეტის თანხებით.

2019 წელს რ.გ.ფ-დან სულ დაფინანსებული იქნა 9 პროექტი, რომელთაგანაც 9 -ვე პროექტი დასრულებულია. ეს პროექტებია;

1. „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ,,ჭყვიშის გზის რეაბილიტაციის სამუშაოები.“
2. „ქ. ამბროლაურში მდ. კრიხულაზე დამცავი კედლის მოწყობის სამუშაოები.“
3. „ქალაქ ამბროლაურში სტადიონის მოწყობის მესამე რიგის სამუშაოები.“
4. ქალაქ ამბროლაურში გურგენიძის ქუჩის მეორე რიგის სარეაბილიტაციო სამუშაოები.
5. „სოფელ კრიხის გზის რეაბილიტაცია“.
6. “ქალაქ ამბროლაურში ვაჟა-ფშაველას ქუჩის 01 ჩიხის, აღმაშენებლის ქუჩის 02 ჩიხის, გამსახურდიას ქუჩის 02 ჩიხის, გამსახურდიას ქუჩის 05 ჩიხის, ბრატისლავა-რაჭის ქუჩის 06 ჩიხის, ბრატისლავა-რაჭის ქუჩის 07 ჩიხის და 01 ქუჩის 01 და 02 ჩიხების საგზაო სამოსის ასფალტობეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები“.
7. სოფლების: “ჭელიაღელე-თლუღი-ხოტევის დამაკავშირებელი გზის რეაბილიტაცია. “
8. „ქალაქ ამბროლაურში კანალიზაციის მოწყობის სამუშაოები.”
9. ,,ქალაქ ამბროლაურში აღმაშენებლის ქუჩის I ჩიხის, ბრატისლავა რაჭის ქუჩის 08 ჩიხის, 03 ქუჩის 01 და 02 ჩიხების, 04 ქუჩის 01 და 02 ჩიხების და 05 ქუჩის 01 ჩიხის საგზაო სამოსის ცემენტობეტონის საფარით მოწყობის სამუშაოები”.

ამ სამუშაოებზე დაიხარჯა 4 293 832 ლარი. დასრულდა სტადიონის მოწყობის სამუშაოები, ექსპლოატაციასი შევიდა თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი საფეხბურთო მოედნების კომლექსი, მოეწყო ქ.ამბროლაურში საკანალიზაციო ქსელი, მოეწყო ქ. ამბროლაურში მდ. კრიხულას მარჯვენა სანაპიროზე ნაპირდამცავი ნაგებობა, სადაც შემდგომში შესაძლებელი იქნება მიმდებარე ტერიტორიის კეთილმოწყობის სამუშაოების განხორციელება. კეთილმოეწყო ბეტონისა და ასფალტობეტონის საფარით, სოფ. ჭყვიშის, სოფ. კრიხის, სოფ ჭელიაღელე-თლუღის სასოფლო გზები და ქ. ამბროლაურის ქუჩები 14 უბანზე. მომავალშიც კვლავაც გაგრძელდება ქ. ამბროლაურის ქუჩების და სასოფლო გზების კეთილმოწყობის სამუშაოები.

წინა წლის აუთვისებელი ნაშთებიდან დაფინანსებული იყო ორი პროექტი:

1. სოფელ ურავში ყოფილი სამთო ქიმიური ქარხნის ტერიტორიქზე მავნე ნარჩენების საკონსერვაციო სამუშაოები - სამუშაოების შემსრულებელს შპს „ამხანაგობა ფარაონი და კომპანია“ სამუშაოების წარმოების გეგმა-გრაფიკის უხეში დარღვევისათვის შეუწყდა ხელშეკრულება. ზამთრის პირობების დადგომის გამო ახალი ტენდერის გამოცხადება მიზანშეწონილად არ იქნა მიჩნეული

2. „ქალაქ ამბროლაურში 05 ქუჩის და 02 ჩიხის და იაკობ გოგებაშვილის ქუჩის 01, და 02 ჩიხების სარეაბილიტაციო სამუშაოები“ - სამუშაოები დასრულებულია.

გასული წლის ნაშთებით მიმდინარეობდა სოფელ ჩორჯოში, სოფელ ზნაკვაში, სოფელ ურავში ფანჩატურის მოწყობის სამუშაოები, სამუშაოები დასრულებულია.

სამუშაოები ჩატარდა ქ. ამბროლაურში 2019 წლის 18 ივლისს სტიქიის შედეგად დაზიანებული საცხოვრებელი კორპუსების სახურავების აღდგენაზე. სრული რეაბილიტაცია ჩაუტარდა 8 კორპუსის სახურავს რაზედაც დაიხარჯა 765 013 ლარი.

სტიქიის პრევენციის ღონისძიებებზე დაფინანსებული იქნა 4 პროექტი, ოთხივე პროექტი დასრულებულია ეს პროექტებია:

1. სოფელ ძირაგეულში ძირაგეულის ხევზე ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობა

2. სოფელ ქვიშარში უსახელო ხევზე ნაპირდამცავი ნაგებობის მოწყობა.

3. სოფელ ურავში მდინარე ლუხუნზე ნაპირსამაგრის მოწყობა .

4. სოფელ პირველ ტოლაში სანიაღვრე არხის და ნაპირსამაგრი ნაგებობის მოწყობა

ამ პროექტებზე დაიხარჯა 241 000 ლარი

სახელმწიფო დაფინანსებით რეაბილიტაცია ჩაუტარდა 6 საჯარო სკოლას (თლუღის, წესის, ხიდიკრის, სადმელის ბუგეულის, ნიკორწმინდის) პროგრამის განხორციელებაზე დაიხარჯა 310 000 ლარი. ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა „ქ. ამბროლაურის N2 საჯარო სკოლაში სარეაბილიტაციო სამუშაოები“. დაიხარჯა 40 000ლარი.

სახელმწიფო დაფინანსებით რეაბილიტაცია ჩაუტარდა 9 სასოფლო ამბულატორიას (ჭელიაღელე, სხვავა, ლიხეთი, ნიოკორწმინდა, ხოტევი, საკეცია ბუგეული ქვიშარი) სოფელ ჭრებალოში, სოფელ ხიდიკარში, სოფელ ჭყვიშში, სოფელ ქედისუბანში აშენდა თანამედროვე სტანდარტებით აღჭურვილი ამბულატორიის შენობები. ამ პროგრამაზე დაიხარჯა 386 107 ლარი.

სოფლის მხარდაჭერის პროგრამით მუნიციპალიტეტის 69 სოფელში პრიორიტეტების შერჩევაზე ჩატარებული იქნა კრებები, სადაც მოსახლეობის გადაწყვეტილების საფუძველზე შეირჩა პროექტები . ყველა პროექტი დასრულებულია. ამ პროგრამის განხორციელებისათვის სახელმწიფო დაფინანსებით გამოყოფილი იქნა 734 000 ლარი, ხოლო ადგილობრივი ბიუჯეტის დაფინანსებით განხორციელდა 50 000 ლარის თანადაფინანსება. პროგრამის ფარგლებში განხორციელდა შემდეგი სამუშაოები:

-გარე განათების სამუშაოები ჩატარდა 56 სოფელში.

- სანიაღვრე არხების მოწყობის სამუშაოები ჩატარდა 4 სოფელში.

-თავშეყრის ადგილებს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები 4 სოფელში.

-სასაფლაოების და სავარგულების შემოღობვის სამუშაოები ჩატარდა 2 სოფელში.

-საუბნო გზების შეკეთების სამუშაოები ჩატარდა 3 სოფელში.

-სოფ. ჭრებალოში ჩატარდა წყაროს კეთილმოწყობის სამუშაოები.

ადგილობრივი ბიუჯეტის თანხების დაფინანსებით განხორციელებული იქნა 70- ზე მეტი ინფრასტრუქტურული პროექტი.სულ დაიხარჯა 1 371 877 ლარი. რითაც განხორციელდა შემდეგი სახის პროექტები:

-4 სოფელში მოეწყო სანიაღვრე არხები.

- 16 სოფელში საუბნო წყალსადენების ქსელს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები.

- 8 ადგილზე ხიდ ბოგირებს ჩაუტარდა სარეაბილიტაციო სამუშაოები, ხოლო სამ ადგილზე, ხვანჭკარა სოფ. ლიხეთში მდ.სერულასა და ხეორზე მოეწყო ახალი სახიდე გადასასვლელები.

- 5 სპორტულ მოედანს ჩაუტარდა სარემონტო სამუშაოები, ხოლო სამ სოფელში, სოფ. საკეცია სოფ. გორში და სოფ. ველევში მოეწყო ახალი ხელოვნურ საფარიანი მინი სპორტული მოედანი.

- 4 სოფელში მოეწყო ფანჩატური.

- 4 ადგილზე მოეწყო გზის დამცავი კედლები

- 2 სოფელში მოეწყო საუბნო კანალიზაციის ქსელი.

- 2 სოფელში ჩატარდა საუბნო გარე განათების სამუშაოები.

- გზების მოვლა შენახვისათვის დაიხარჯა 235 569 ლარი.

- სარეაბილიტაციო სამუშაოები ჩაუტარდა ქვიშარის ბიბლიოთეკას, საცურაო აუზს , საჭიდაო დარბაზს და ტურისტულ ცენტრს.

ჯამში 2019 წელს ინფრასტრუქტურული ობიექტების მოწყობა- რეაბილიტაციისათვის დაიხარჯა 7,814,811ლარი. რითაც 182 ინფრასტრუქტურული პროექტი განხორციელდა.

2019 წელს შესყიდული იქნა საპროექტო დოკუმენტაცია იმ პროექტებისა რომლებიც მუნიციპალიტეტის პერსპექტიული განვითარების გეგმით 2020 წელს რეგიონული განვითარების ფონდიდან უნდა დაფინანსდეს, ეს პროექტებია:

1. სოფელ პატარაონის წყალსადენის რეაბილიტაცია;

2. სოფელ ბუგეულის წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია;

3. სოფელ ჟოშხის წყალსადენის შიდა ქსელის რეაბილიტაცია;

4. სოფელ აბარის სასმელი წყალსადენის სისტემის რეაბილიტაცია;

5. სოფელ ჭელიაღელიაღელის კოტორაშვილების უბნის წყალმომარაგების რეაბილიტაცია;

6. სოფელ ჭრებალოს ქუჩების ასფალტირების სამუშაოები;

7. ქ. ამბროლაურის ბრატისლავა-რაჩის და კოსტავას ქუჩების რეაბილიტაციის სამუშაოები;

8. 5 საჯარო სკოლის (ქ. ამბროლაურის მე-2 საჯარო, ჩორჯო, ბოსტანა ,ბუგეულის, ჭრებალოს სკოლების გათბობა და სველი წერტილების მოწყობის სამუშაოები);

9. სოფელ კლდისუბანში სანიაღვრე არხის მოწყობის სამუშაოები;

10. დახურული სპორტული დარბაზის იატაკის და ღია სპორტული მოედნების რეაბილიტაციის სამუშაოები;

11. წინა პერიოდში საპროექტო დოკუმენტაცია შემუშავებულია სოფელ ჭყვიშის, კრიხის და ჭელიაღელე-თლუღის სასოფლო გზების რეაბილიტაციი II რიგის სამუშაოებზე, ქ. ამბროლაურის მდ. კრიხულას მარცხენა სანაპიროზე ნაპირდამცავი კედლის მოწყობის მესამე ეტაპის სამუშაოებზე.

სანებართვო განყოფილების მიერ მ/წლის 1 იანვრიდან 25 დეკემბრამდე მომზადებული და გაცემულია 30 სამშენებლო ნებართვა. ასევე 26 პირველი კლასის ობიექტებზე შეთანხმება. მშენებლობის ნებართვების მოსაკრებლის სახით შემოსულმა თანხამ აღნიშნულ პერიოდში შეადგინა 7309,61 ლარი. აღნიშნულ პერიოდში ექსპლოატაციაში მიღებული არის 24 ობიექტი. განყოფილება რეგულარულად აწარმოებს გაცემული ნებართვების საფუძველზე მშენებარე ობიექტების მონიტორინგს, რათა მშენებლობა წარიმართოს მშენებლობის პირობების დაცვით.

რაც შეეხება ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის პირველადი სტრუქტურული ერთეულის შესყიდვების სამსახურის მიერ მიმდინარე წელს განხორციელებულ საქმიანობას, სულ გაფორმებულია 192 ხელშეკრულება, საერთო ღირებულებით 8 865 201 , 07 ლარი, მათ შორის:

1. აუქციონის გარეშე ელექტრონული ტენდერის ფარგლებში 77 ხელშეკრულება საერთო სახელშეკრულებო თანხით 8 505 026 ,07 ლარი;
2. გამარტივებული შესყიდვით გაფორმებულია 87 ხელშეკრულება საერთო სახელშეკრულებო თანხით 180 563 ,30 ლარი
3. კონსოლიდირებული შესყიდვით გაფორმებულია 22 ხელშეკრულება საერთო სახელშეკრულებო თანხით 94 122, 88ლარი
4. ექსკლუზიური შესყიდვის ფარგლებში გაფორმებულია 6 ხელშეკრულება საერთო სახელშეკრულებო თანხით 85 490 ლარი.

❖ ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური

აღნიშნული სამსახურის მიერ სისტემატიურად ხორციელდება შემდეგი სამუშაოები:

ყოველთვიურად მზადდება მონაცემები შრომის შესახებ და იგზავნება სტატისტიკის ეროვნულ სააგენტოში (სტატისტიკური ინფორმაცია);

ყოველთვიურად მზადდება ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე განსახორციელებელი საინვესტიციო პროექტებისა მიმდინარეობის შესახებ;

შემოსულ კორესპონდენციასა და მოქალაქეთა განცხადებებზე ხორციელდება დროული და სათანადო რეაგირება;

ყოველთვიურად იგზავნება ინფორმაცია სახელმწიფო რწმუნებულის გუბერნატორის ადმინისტრაციაში ბიუჯეტის შემოსავლების და ხარჯების შესახებ;

მიმდინარეობს კონტროლი სამსახურის სპეციალისტების მიერ მერიის შინაგანაწესის, შრომის და საშემსრულებლო დისციპლინის, თანამდებობრივი ფუნქციების შესრულებაზე. ამის გარდა 2019 წელს სამსახურის მიერ შესრულებულ იქნა შემდეგი სამუშაოები:

სამსახურის სპეციალისტების მიერ მოპოვებული იქნა სტატისტიკური ინფორმაციები საბიუჯეტო ორგანიზაციებისა და კომერციული საწარმოების შესახებ;

როგორც მოგეხსენებათ, ამბროლაურის მუნიციპალიტეიტს ბიუჯეტის შემოსავლების მიშვნელოვან წყაროს წარმოადგენს ადგილობრივი მოსაკრებლები, მოსაკრებლები ამბროლაურის მუნიციპალიტეტში ძირითადად წარმოდგენილია დასუფთავების, მშენებლობის და ბუნებრივი რესურსების მოსაკრებლების სახით.

2018 წლის 31 იანვრის N14 დადგენილების, „ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობის განაზღვრისა და გადახდის ინსტრუქციის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზე, განისაზღვრა ფიზიკურ და იურიდიულ პირებზე დასუფთავების მოსაკრებლის ოდენობა. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვი სამსახურის მიერ გაგზავნილ იქნა შესაბამისი წერილები, როგორც ქალაქის, ასევე ადმინისტრაციულ -ტერიტორიულ ერთეულებში გაფორმდა შესაბამისი ხელშეკრულებები, რამაც მნიშვნელოვნად გააუმჯობესა არსებული მდგომარეობა და განსაკუთრებულ როლს ითამაშებს შემდგომი დაგეგმარების თვალსაზრისით.

დასუფთავების მოსაკრებლის ამოღებას ფიზიკური პირებიდან ახორციელებს ა(ა) იპ „ამბროლაურის დასუფთავების და კეთილმოწყობის სამსახური“. ხოლო ზედამხედველობას უწევს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური.

2019 წლის მდგომარეობით დასუფთავების მოსაკრებლის გეგმა შესრულებულია 128 %-ით, ნაცვლად გეგმით გათვალისწინებული 26000 ლარის შემოსულია 333356,92 ლარი.

მოსაკრებელი მშენებლობის (გარდა განსაკუთრებული მნიშვნელობის რადიაციული ან ბირთვული ობიექტების მშენებლობისა) ნებართვაზე 2019 წლის მონაცემებით შემოსულია 4915,74 ლარი, ნაცვლად გეგმით გათვალსიწინებული 5000 ლარის. მოსაკრებელი ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის შემოსულია 269,984.72 ლარი მათ შორის (წიაღით სარგებლობისათვის 32,179.52 ლარი; მოსაკრებელი სახელმწიფო ტყის ფონდის მერქნული რესურსებით სარგებლბიოსათვის 178,574.73 ლარი; მოსაკრებელი გარემოდან ამოღებული ტყის არამერქნული რესურსებით და ტყის მერქნიანი მცენარეების პროდუქტებით სარგებლობისათვის 33,514.00 ლარი; მოსაკრებელი წყლის რესურსებით სარგებლობისათვის 9,577.00 ლარი; სხვა არაკლასიფიცირებული ბუნებრივი რესურსებით სარგებლობისათვის მოსაკრებელი 14,991.47 ლარი; მოსაკრებელი გარემოდან გადამფრენი ფრინველების ამოღებაზე 1150.0 ლარი;)

ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახურის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ქონების მართვის განყოფილების გაწეული სამუშაოებიდან გამომდინარე, მუნიციპალურ საკუთრებაში დარეგისტრირდა წლების მანძილზე აღურიცხავი მუნიციპალური უძრავი ქონება 85(ოთხმოცდახუთი) ერთეული: ადმინისტრაციული შენობები, სპორტული მოედნები, თავშეყრის ადგილები, სკვერები და სხვა. თითოეულ უძრავი ქონების დარეგისტრირების მიზნით მომზადდა აღნიშნული ქონებების საკადასტრო-აზომვითი ნახაზები და დაიგზავნა შესაბამის წერილებთან ერთად 4(ოთხი) სხვადასხვა სამინისტროში.

ქონების მართვის განყოფილების 2019 წლის 28 თებერვალს მუნიციპალიტეტის საკრებულომ მიიღო განკარგულება N12 და N13, რომლითაც შევიდა ცვლილებები ამბროლაურის მუნიციპალიტეტის 2018 წლის 27 თებერვლის N24 და N25 განკარგულებებში და აღნიშნული ცვლილებების შესაბამისად საპრივატიზებოდ წარდგენილ იქნა შემდეგი უძრავ-მოძრავი ქონება:

1. ქ. ამბროლაურში, ვაჟა-ფშაველას ქუჩა N15-ში მდებარე 1000 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: 86.19.28.071). საწყისი ფასი 30000 ლარი.

2. ქ. ამბროლაურში, ბრატისლავა-რაჭის ქუჩა N44-ში მდებარე 50 მ² არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: 86.19.22.001). საწყისი ფასი 1500 ლარი.

3. ქ. ამბროლაურში, გამსახურდიას ქუჩაზე მდებარე 130 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი და მასზედ განთავსებული შენობა-ნაგებობა N1 (ს/კ: 86.19.25.154). საწყისი ფასი 1500 ლარი.

4. ქ. ამბროლაურში, ვაჟა-ფშაველას ქუჩის მიმდებარედ 100 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: 86.19.28.101). საწყისი ფასი 3000 ლარი.

5. ქ. ამბროლაურში, გურგენიძის ქუჩა N10-ში მდებარე 1421 მ² არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: 86.19.23.005) და მასზედ განთავსებული 1192,86 მ² შენობა-ნაგებობა N1. საწყისი ფასი 176 000 ლარი.

6. მეორადი ლითონის დეკორატიული მოაჯირი, 60 გრძივი მეტრი. 240 ლარი.

7. მეორადი ლითონის ვიტრაჟი, 1 ცალი, რკინის კარით და ოთხი ფანჯარა გისოსით (17.08 მ²). 598 ლარი.

8. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ღვიარაში არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების 100 მ² მიწის ნაკვეთი (ს/კ: 86.05.25.030). საწყისი ფასი 2000 ლარი.

9. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ველევში არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების 607 მ² მიწის ნაკვეთი (ს/კ: 86.14.23.005) მასზედ დამაგრებული ყოფილი ბიბლიოთეკის შენობა–ნაგებობა N1 (36.225 მ²) და ყოფილი კლუბ–კანტორის შენობა–ნაგებობა N2 (224.16 მ²). საწყისი ფასი 5920 ლარი.

10. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ზნაკვაში არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების 2901 მ² მიწის ნაკვეთი (ს/კ: 86.06.25.003) მასზედ დამაგრებული ყოფილი სკოლის შენობა–ნაგებობა N01/1 (442.6 მ²), N02/1 (36.9 მ²) და N03/1 (21.9 მ²). საწყისი ფასი 8289 ლარი.

11. ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხონჭიორში მდებარე არასასოფლო–სამეურნეო დანიშნულების 135 მ² მიწის ნაკვეთი და მასზე განთავსებული შენობანაგებობა (ყოფილი ბიბლიოთეკის შენობა) (ს/კ: 86.10.21.031). საწყისი ფასი 5832 ლარი.

12. ავტომანქანა „VAZ-21214“, სარეგისტრაციო ნომერი: ZOZ-562, საიდენტიფიკაციო ნომერი: XTA21214061798462, გამოშვების წელი: 2005 წელი, ფერი: თეთრი. საწყისი ფასი 3000 ლარი.

13. ავტომანქანა „UAZ-31519“, სარეგისტრაციო ნომერი: SA-210-AS, საიდენტიფიკაციო ნომერი: XTT31519060525806, გამოშვების წელი: 2006 წელი. საწყისი ფასი 4500 ლარი.

14. ავტომანქანა „UAZ-31519“, სარეგისტრაციო ნომერი: SA-208-AS, საიდენტიფიკაციო ნომერი: 31514020018444-31510020131540. გამოშვების წელი: 2002 წელი. საწყისი ფასი 4000 ლარი.

15. ავტომანქანა „UAZ-220606“, სარეგისტრაციო ნომერი: ZES-585, საიდენტიფიკაციო ნომერი: X0009404. გამოშვების წელი: 1999 წელი. საწყისი ფასი 2000 ლარი.

აღნიშნული განკარგულებების და მუნუციპალიტეტის მერის შესაბამისი ბრძანების საფუძველზე მიმდინარე წლის 02 აპრილს გამოცხადდა ელ.აუქციონი 13 ლოტად. მიმდინარე წლის 27 აპრილს დასრულდა აღიშნული ელ.აუქციონები და გამარჯვებულები გამოვლინდა 2(ორ) ლოტზე.

ქ. ამბროლაურში, ბრატისლავა-რაჭის ქუჩა N44-ში მდებარე 50 მ² არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ: 86.19.22.001). გაყიდვის ფასი 3825 ლარი.

ავტომანქანა „UAZ-31519“, სარეგისტრაციო ნომერი: SA-208-AS, საიდენტიფიკაციო ნომერი: 31514020018444-31510020131540. გამოშვების წელი: 2002 წელი. გაყიდვის ფასი 5800 ლარი.

მუნიციპალიტეტის მერის მიმდინარე წლის 08 ოქტომბრის N 1877 ბრძანების

საფუძველზე გამოცხადებული იქნა ელ.აუქციონები 12 ლოტად. ელ.აუქციონები დასრულდა მიმდინარე წლის 02 ნოემბერს და გამრჯვებულები გამოვლინდა 05 ლოტზე.

ქ. ამბროლაურში, ვაჟა-ფშაველას ქუჩაზე მდებარე 1000 მ² არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 86.19.28.071). გაყიდვის ფასი 31 500 ლარი.

ქ. ამბროლაურში, ბრატისლავა-რაჭის ქუჩაზე მდებარე 17 მ² არასასოფლოსამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი (ს/კ 86.19.22.088). გაყიდვის ფასი 1 470 ლარი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სოფ.ქვედა თლუღში მდებარე 60 მ2 არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი ს/კ 86.12.26.239. გაყიდვის ფასი 1260 ლარი.

ავტომანქანა „UAZ-31519“, სარეგისტრაციო ნომერი: SA-210-AS გამოშვების წელი: 2006წელი. გაყიდვის ფასი 3037,50 ლარი.

ავტომანქანა „UAZ-220606 BUS“, სარეგისტრაციო ნომერი: ZES-585. გამოშვების წელი: 1999 წელი. გაყიდვის ფასი 1100 ლარი.

ქონების მართვის განყოფილების ინიცირებით საპრივატიზებოდ მომზადდა და წლის მანძილზე მუნიციპალური ქონების პრივატიზების მიზნით გამოცხადდა 35 (ოცდათხუთმეტი) ელ.აუქციონი. ეკონომიკისა და ქონების მართვის სამსახური აქტიურადაა ჩართული სახელმწიფოპ ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული სახელმწიფო ქონების გასხვისების მიზანშეწონილობის დადგენის პროცესში. დეტალურად ხდება ყველა საპრივატიზებო მოთხოვნის განხილვა სოფლის მოსახლეობის აზრის გათვალისწინებით. ტარდება სოფლის მოსახლეობის კრებები კონკრეტულ საპრივატიზებო მოთხოვნასთან დაკავშირებით და ოქმების სახით მიიღება გადაწყვეტილებები, რომლებიც გადაეგზავნება ჩვენს მიერ სახელმწიფო ქონების ეროვნულ სააგენტოს შემდგომი რეაგირებისათვის.

აღნიშნული გამოკითხვების შედეგად, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს მიერ მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე პრივატიზირებული ქონებიდან ადგილობრივ ბიუჯეტში მიმდინარე წელს შემოსავალმა შეადგინა 45 481.65 ლარი.

ჩვენს მიერ მიმდინარე წელს ელ.აუქციონის საშუალებით პრივატიზირებულმა ქონებიდან შემოსავალმა შეადგინა 48 438,45 ლარმა.

საერთო შემოსავალმა პრივატიზირებული ქონებიდან მიმდინარე პერიოდისათვის შეადგინა 93 920,10 ლარი. წლის საპრივატიზაციო გეგმა შესრულებულია 122 %-ით.

ქონების მართვის განყოფილების თანამშრომლები აქტიურ მონაწილეობას იღებენ მუნიციპალიტეტის დასახლებათა ტერიტორიების გამოყენებისა და მუნიციპალური ქონების განკარგვის მიზანშეწონილობის მუდმივმოქმედი სამუშაო ჯგუფის მუშაობაში. მიმდინარე პერიოდისათვის ჯგუფის მიერ განხილულია მოქალაქთა ათეულობით წერილობითი მოთხოვნა, მუნიციპალური ქონების განკარგვასთან დაკავშირებით, მიღებული იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები, შედგა შესაბამისი ოქმები და დაიგზავნა წერილები სხვადასხვა სამინისტროებში. განყოფილების თანამშრომლებმა მონაწილეობა მიიღეს შესრულებული ინფრასტრუქტურული პროექტების მიღება-ჩაბარებების კომისიის მუშაობაში. კომისიის შემადგენლობაში მოახდინეს ათეულობით შესრულებული პროექტის მონახულება-დათვალიერება მუნიციპალიტეტის სოფლების მასშტაბით. მონაწილეობას იღებენ მუნიციპალიტეტის საზღვრებში გამხმარი და საფრთხისშემცველი ხეების მოჭრის მიზანშეწონილობის დადგენის სამუშაო ჯგუფის შემადგენლობაში. ჯგუფის მიერ განხილულია ათობით წერილობითი განცხადება, თითოეულ შემთხვევაში ადგილზე მისვლით შესწავლილი იქნა დასმული საკითხი, მიღებული იქნა შესაბამისი გადაწყვეტილებები და შედგენილი იქნა შესაბამისი აქტები. გადაწყვეტილებები წერილობით ეცნობათ გამცხადებლებს. წლის მანძილზე მონაწილეობა მიიღეს სხვადასხვა სახის სატენდერო დოკუმენტაციის შედგენაში, როგორიცაა საკადასტრო ნახაზების შედგენის შესყიდვა და სოციალურად დაუცველი მოსახლეობისათვის შეშის დარიგების მომსახურების შესყიდვა. აქტიური მონაწილეობა მივიღეთ მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავ-მოძრავი ქონების მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ა(ა)იპ-ებისათვის გადაცემის პროცესში, შეადგენილი იქნა ათეულობით უსასყიდლო უზუფრუქტის ხელშეკრულება და მოძრავი ქონების მიღება-ჩაბარების აქტები. განყოფილების თანამშრომლები მონაწილეობას იღებენ საჯარო რეესტრიდან გადმოგზავნილი იდენტურობების ცნობების გაცემის პროცესში, კერძოდ რეკომენდაციებს და დახმარებას უწევენ მერის წარმომადგენლებს ადმინისტრაციულ ერთეულებში, ელექტრონული გვერდებიდან უბეჭდავთ მათ დოკუმენტაციას და ახდენს შედგენილი იდენტურობების ოქმების შესაბამის წერილებთან ერთობლიობაში სისტემაში ატვირთვას. დღეის მდგომარეობით ატვირთულია სისტემაში 6 მერის წარმომადგენლის 498 ერთეული იდენტურობის ოქმი და ცნობა. მიმდინარე წელს ქონების მართვის განყოფილებას სხვავასხვა ორგანიზაციებიდან და ფიზიკური პირებიდან ელექტრონულად დაეწერა 572 ერთეული წერილი-კორესპონდეცია, რაზედაც მოხდენილი არის დროული რეაგირება, შესაბამისი წერილობითი პასუხები გადაეგზავნათ გამცხადებლებს. ქონების მართვის განყოფილების ინიცირებით მიმდინარე წელს მომზადებულია 152 ერთეული წერილობითი კორესპონდეცია, რომლებიც გადაიგზავნა სხვადასხვა სამინისტროებში და ორგანიზაციებში.

ეკონომიკის განყოფილების ერთ-ერთი ფუნქციაა ფიზიკური პირისათვის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერების და აღდგენის საკითხების განხილვაცაა. საკითხები განიხილება საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის VI თავითა და საქართველოს მთავრობის 2015 წლის 19 ნოემბრის N591 დადგენილების ,,მაღალმთიან

დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების, შეწყვეტის, შეჩერებისა და აღდგენის წესის დამტკიცების შესახებ“ შესაბამისად. მიმდინარე წელს - 2019 წლის 1 იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით (შემდგომში - საანგარიშო პერიოდი) სტატუსის მიღების მიზნით ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიას მომართა 216 მოქალაქემ. სტატუსი მიენიჭა თითოეულ მათგანს. სტატუსის აღდგენის მიზნით მომართა 4 მოქალაქემ, მათი საკითხი გადაწყდა დადებითად. სააგარიშო პერიოდში ჩატარდა ,,მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მინიჭების და შეწყვეტის საკითხის განმხილველი საბჭოს“ 21 შეკრება (სხდომა). რეესტრის დავალების საფუძველზე სტატუსი შეუწყდა 248 ფიზიკურ პირს. აქედან 242-ს სტატუსი შეუწყდა გარდაცვალების მიზეზით, ხოლო 6 მოქალაქემ დაკარგა რეგისტრაცია მაღალმთიან დასახლებაში, რამაც გამოიწვია სტატუსის შეწყვეტა.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერის 2018 წლის 21 დეკემბრის N2213 ბრძანების ,,მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები სტატუსის მქონე მოქალაქეთა მონიტორინგს დაქვემდებარებულ პირთა სიის დამტკიცების შესახებ“ საფუძველზეჩატარებული მონიტორინგის შედეგად მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრებიპირის სტატუსი მუნიციპალიტეტში ფაქტობრივად არცხოვრების მიზეზით შეუწყდა 93ფიზიკურ პირს.ხოლო სტატუსი შეუჩერდა 41 პირს.

აქედან: ა) პატიმარი -1; ბ) სტუდენტი - 40;

საანგარიშო პერიოდში სამსახურმა მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის საკითხებში მოამზადა 647 ინდ.ადმინისტრაციული სამართლებრივი აქტის პროექტი.

საანგარიშო პერიოდში სამსახურის მიერ განხილული იქნა მერის წარმომადგენლების მიერ შესრულებული 3467 მონიტორინგის ვიზიტის ოქმი. ასევე მომზადდა 468 ცნობა სტატუსის ფლობის შესახებ.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტში სტატუსს ფლობს 8833 მოქალაქე_

2019 წელს ეკონომიკის განყოფილებამ იმუშავა მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური განვითარების სტრატეგიაზე. გაკეთდა მუნიციპალიტეტის ეკონომიკური განვითარებისა და პრიორიტეტების ანალიზი, შეფასდა მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები, შესაბამისად შეიქმნა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის განვითარების საშუალოვადიანი დოკუმენტი. დოკუმენტის შექმნის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა ინფორმაციის დამუშავების და ანალიზის ეტაპი. დაიწერა რამოდენიმე რეკომენდაცია მუნიციპალიტეტის თანამონაწილეობით კერძო ინვესტიციების მოზიდვასთან დაკავშირებით.

სამსახურის სპეციალისტების მიერ მოპოვებულ იქნა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხილის გადამამუშავებელი საწარმოების და ღვინის ქარხნების შესახებ;

სამსახური აქტურად თანამშრომლობს არასამთავრობო ორგანიზაციებთან, საქართველოს გარემოს დამცველის ოფისთან , შესაბამისი საკითხების განხილვაში;

სამსახურის სპეციალისტების მიერ მოპოვებულ იქნა ინფორმაცია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე არსებული ხილის გადამამუშავებელი საწარმოების და ღვინის ქარხნების შესახებ;

სამსახურის თანამშრომლები იუსტიციის მინისტრის და მერის ბრძანებებების საფუძველზე განსაზრვრული არიან უფლებამოსილ პირებად, მიწის ნაკვეთების სპორადული

რეგისტრაციიის პროცესში იდენენტურობის ცნობის გაცემისათვის საჭირო მიწის ნაკვეთის ადგილზე დათვალიერების ოქმის შემდგენ

სამსახურის თანამშრომლები აქტიურად არიან ჩართულები „ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ფიზიკური და კერძო სამართლის იურიდიული პირების მფლობელობაში (სარგებლობაში) არსებულ მიწის ნაკვეთებზე საკუთრების უფლების აღიარების მუდმივმოქმედი კომისიის“ საქმიანობაში, აწარმოებენ ასაღიარებელი მიწის ნაკვეთების დათვალიერებას ადგილზე გასვლით და მონაწილეობენ გადაწყვეტილებების მიღებაში. სულ 2019 წელს განხილულია რეესტრის 951 შუამდგომლობა, რაზედაც შედგა 17 ოქმი.

სამსახური წლის განმავლობაში პასუხობს სხადასხა სამინისტროებიდან, სააგენტოებიდან, იურიდიული და ფიზიკური პირებიდან შემოსულ სხავადასხვა სახის კორესპონდეციებს. მიმდინარე წელს განხილული, ნაპასუხები და შესაბამისად რეაგირებული იქნა 3098 წერილობითი კორესპონდენცია.

სამსახურმა აქტიური მონაწილეობა მიიღო მუნიციპალიტეტისთვის სასიცოცხლო მნიშვნელობის, პრიორიტეტის დოკუმენტის შექმნის პროცესში. დამუშავდა მუნიციპალიტეტის სამსახურების მიერ მოწოდებული სტატისტიკური ინფორმაციები და სათანადო ანალიზის შედეგად გამოვლინდა მუნიციპალიტეტის ძლიერი და სუსტი მხარეები, შესაძლებლობები და საფრთხეები. ამის შემდგომ გამოიკვეთა ის პრიორიტეტული მიმართულებები, რომლებიც აუცილებელია მუნიციპალიტეტის სოციალურ–ეკონომიკური განვითარებისთვის. პრიორიტეტის დოკუმენტის შექმნის მნიშვნელოვან ეტაპს წარმოადგენდა ინფორმაციის მოპოვების, დამუშავების და ანალიზის ეტაპი, აგრეთვე გასული და მიმდინარე წლების მუნიციპალური პროგრამებისა და პროექტების შეფასება და ანალიზი, მუნიციპალური ბიუჯეტის შესრულების ანალიზი, მისი ხარჯვითი ნაწილის შესაბამისობა გეგმით გათვალისწინებულ მონაცემებთან, რამაც მნიშვნელოვან როლი ითამაშა იმ პრიორიტეტული მიმართულებების გამოვლენის თვალსაზრისით, რომელიც აუცილებელია მუნიციპალიტეტის სოციალურ–ეკონომიკური განვითარებისთვის.

❖ ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის უზრუნველყოფის ხელშეწყობა

მოსახლეობის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის ხელშეწყობა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ერთ-ერთი პრიორიტეტია.

ამ მიმართულებით მუნიციპალიტეტში ხორციელდება მნიშვნელოვანი პროგრამები, რომლებიც განსაზღვრულია სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფებისთვის.

სოციალური პროგრამის დაფინანსების მიზნით ბიუჯეტი 2019 წლის ადგილობრივი ბიუჯეტიდან გამოიყო 345 200 ლარი, რომელიც გადანაწილდა 16 მიზნობრივ ჯგუფზე:

- სოციალურად დაუცველი მოსახლეობის ყოველდღიური უფასო ერთჯერადი კვება (ყოველდღიურად, კვირა და უქმე დღეების გარდა, სასადილოს მომსახურებით ისარგებლა 39 ბენეფიციარმა, რომელთა მომსახურებაზეც გახარჯულია 24 294.13 ლარი);
- 10 000 - მდე სარეიტინგო ქულის მქონე ოჯახების საახალწლო და სააღდგომო პაკეტით უზრუნველყოფა (საახალწლო და სააღდგომო პაკეტი - 7 788 ლარის ოდენობით გაიცა 133 ბენეფიციარზე);

• ახალშობილთა ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება
(82 ახალშობილთა ოჯახებზე გაცემულია 34 950 ლარი);
● ახლადშექმნილი ოჯახების ერთჯერადი ფინანსური დახმარება
(4 ახლადშექმნილ ოჯახზე გაცემულია 4 000 ლარი);
• მიცვალებულთა სარიტუალო მომსახურება
(გარდაიცვალა 2 ადამიანი, რომელთა სარიტუალო მომსახურებისათვის გაიცა 500 ლარი);
• შეზღუდული შესაძლებლობის მქონე 6 დან და 18 წლამდე ასაკის ბავშვებზე ერთჯერადი ფინანსური დახმარება
(14 შეზღუდული შესაძლებლობის მქონე ბავშვზე გაცემულია 4 200 ლარი);
● შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა ზრუნვის ხელშეწყობა
(29 შეზღუდული შესაძლებლობის სტატუსის მქონე პირზე გაცემულია 29 500 ლარი);
●,,დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის" სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლეთა დახმარება
(,,დიალიზი და თირკმლის ტრანსპლანტაციის" სახელმწიფო პროგრამით მოსარგებლე 14 ბენეფიციარზე გაცემულია 34 000 ლარი);
• ხანძრის შედეგად (საცხოვრებელ სახლზე) დაზარალებული ოჯახების ფინანსური დახმარება
(ხანძრის შედეგად საცხოვრებელ სახლზე დაზარალებულ 9 ოჯახზე გაცემულია 75 300 ლარი);
• მრავალშვილიან(სამი და მეტი 0- დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ოჯახებზე ერთჯერადი ფინანსური
დახმარება
(დახმარება გაიცა 126 მრავალშვილიან ოჯახზე 50 400 ლარი);
• მარჩენალდაკარგული ოჯახების(0- დან 18 წლამდე ასაკის ბავშვი) ერთჯერადი ფინანსური დახმარება
(32 მარჩენალდაკარგული ოჯახი დაფინანსდა 8 500 ლარით);
• უსახლკარო ოჯახების საცხოვრებელი ბინის ყოველთვიური ქირით უზრუნველყოფა
(ბინის ქირის გადასახადით უზრუნველყოფილი იქნა 6 ოჯახი და გაიცა 10 275 ლარი);
• მარტოხელა მშობლის ერთჯერადი ფინანსური დახმარება
(9 მარტოხელა მშობელზე გაიცა 2 700 ლარი);
• ომისა და სამხედრო ძალების ვეტერანთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება
(ომისა და სამხედრო ძალების 22 ვეტერანზე გაიცა - 4 400 ლარი);
• სოციალურად დაუცველი მოსახლეობის საშეშე მერქნით დახმარება
(საშეშე მერქანი გაიცა 328 ბენეფიციარზე - 49 967.93 ლარი)
•100 წლის და 100 წელს გადაცილებულ ხანდაზმულ მოქალაქეთა ერთჯერადი ფინანსური დახმარება
(2 ხანდაზმულზე გაიცა - 400 ლარი.)
სოციალური პროგრამის ფარგლებში 851 ბენეფიციარზე გაიცა 341 175.06 ლარი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 26 დეკემბრის N61 დადგენილებით დამტკიცებულ იქნა ,,ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული მოსახლეობის სამედიცინო მომსახურების პროგრამა და მიზნობრივი დახმარების გაცემის წესი“ ბიუჯეტი 269 500 ლარი.
დაფინანსდა 5 ქვეპროგრამა:
● ონკოლოგიური დაავადების მქონე პაციენტებისათვის პროგრამით განსაზღვრულია - 167 970 ლარი.
(მომსახურება გაეწია 138 ბენეფიციარს. მომსახურების ღირებულება - 167 863.84 ლარი);

● ქირურგიული ოპერაციის საჭიროების მქონე პაციენტთა თანადაფინანსების ქვეპროგრამა - 63 400 ლარი.

(ისარგებლა 101 ბენეფიციარმა. თანხა 61 805.01 ლარი);

● ამბულატორიულ - მაღალტექნოლოგიური კვლევები - 24 500 ლარი.

(კვლევები ჩაუტარდა 52 ბენეფიციარს. თანხა -- 23 709.75 ლარი);

● ხანგრძლივად მოავადე პაციენტთა მედიკამენტური მკურნალობა - 11 630 ლარი.

(ისარგებლა 53 ბენეფიციარმა. გახარჯულია 8 483.25 ლარი);

● C ჰეპატიტი - 2 000 ლარი.

(მომსახურება გაეწია 14 ბენეფიციარს. თანხა - 1 802 ლარი);

2019 წელში სამედიცინო მომსახურება გაეწია მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე რეგისტრირებულ 359 ბენეფიციარს. გაცემულია 263 663.85 ლარი.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე 2019 წლის მდგომარეობით რეგისტრირებული იყო 0-18 წლამდე 16 შშმ ბავშვი, 26 უსინათლო პირი და 37 ეტლით მოსარგებლე, შეირჩა შშმ პირთა პირველადი საჭიროებები.

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიამ შესაბამისი პროცედურების დაცვით უზრუნველყო შშმ პირების(0-16 წლამდე ასაკის ბავშვი) დღის ცენტრისათვის 150 $მ^2$ გარემოტებული და კეთილმოწყობილი ფართის გადაცემა სივრცის მოწყობისა და არქიტექტურული და გეგმარებითი ელემენტების შესაბამისად. აღნიშნულმა ცენტრმა ფუნქციონირება დაიწყო 2019 წლის 1 აგვისტოდან, რომლითაც სარგებლობენ შშმ და სსმ ბავშვები, რომლებსაც თავიანთი მდგომარეობიდან გამომდინარე ესაჭიროებათ ინკლუზიური განათლება, რაც ითვალისწინებს სხვადასხვა უნარების ათვისება - განვითარებას.

მბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 22 აპრილის №15 დადგენილებით დამტკიცებული იქნა ,,ამბროლაურის მუნიციპალიტეტში რეგისტრირებული და მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე მოსახლეობის უსახლკაროდ რეგისტრაციისა და დროებითი საცხოვრისით უზრუნველყოფის
წესი“, რომლის შესაბამისად მიმდინარეობდა და მიმდინარეობს უსახლკარო ოჯახების შესწავლა - დარეგისტრირება.

2019 წლის მაისის თვეში ქ. თბილისის შპს სისხლის გადასხმის საქალაქო სადგურის მოთხოვნით და მერიის ორგანიზებით ჩატარდა საქველმოქმედო აქცია, რომელშიც მონაწილეობა მიიღო 46 დონორმა.

2019 წლის 27 – 28 ივლისს ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის და ქ. თბილისის გულის ცენტრის ინიციატივით ჩატარდა უფასო კარდიოლოგიური კვლევები მუნიციპალიტეტის მოსახლეობისათვის. გამოკვლეული იქნა 210 ბენეფიციარი და მიეცათ შესაბამისი რეკომენდაციები.

მუნიციპალიტეტის მერიის მიერ შესწავლილი იქნა ამბროლაურის მუნიციპალიტეტში მცხოვრები და რეგისტრირებული მოსახლეობის პრობლემები, რომელიც ნაწილობრივ ასახული იყო 2019 წლის პროგრამებში. აგრეთვე სამომავლოდაც გაგრძელდება სხვადასხვა მიზნობრივი ჯგუფის ინტერესთა გათვალისწინებას.

❖ განათლების, კულტურის, ძეგლთა დაცის, ახალგაზრდულ საქმეთა და სპორტის განვითარების ხელშეწყობა

2019 წელს სამსახურმა უზრუნველყო:

- საქართველოს სახელმწიფო დროშის დღის აღსანიშნავი აქციის ორგანიზება (100 ლ);

- მოსწავლეთა უფასო გადაყვანის პროგრამის განხორციელების მიზნით სატენდერო დოკუმენტაციის მომზადება და პროგრამის ბენეფიციარებისთვის სამგზავრო ბარათების

(250 ბარათი - 150 ლარი) დამზადება. მოსწავლეთა უფასო გადაყვანის პროგრამის უზრუნველყოფისთვის გახარჯულია - 15816,15 ლარი;

- სასკოლო სპორტულ ოლიმპიადაში მონაწილე მოზარდებისთვის სპორტული ფორმების (1344ლ), სიგელების (157ლ) და მედლების (1000ლ) შეძენა/გადაცემა. სასკოლო სპორტული ოლიმპიადა 2019-ის მუნიციპალური და რეგიონული თამაშების ჩატარება, ასევე დასავლეთ საქართველოს ზონალურ თამაშებში (ცაგერში - 140 ლარი; ქუთაისში - 160 ლარი) რეგიონის ჩემპიონი სკოლის გუნდების ტრანსპორტირება;

- საგანმანათლებლო პროექტ „ეტალონის“ (2960ლ) დაფინანსება;

- კულტურული პროექტი (თეატრალური წარმოდგენა) - ლეო ანთაძე & მედეა ლორთქიფანიძე (1500ლ) დაფინანსება;

- დაუნის სინდრომის მქონე პირთა მხარდამჭერი აქციის (700 ლ. - ინდ. დაფინანსება; 300 ლ. – 7 ბენეფიციარის საჩუქრები) ორგანიზება, რის გამოც ამბროლაური შეუერთდა დანარჩენ მსოფლიოს;

- მუზეუმის საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით (18 მაისი) გამოცხადებული კულტურული კვირეულის ფარგლებში საერთაშორისო აქციის „ღამე მუზეუმში“ ინიცირება, რის გამოც ამბროლაური შეუერთდა დანარჩენ მსოფლიოს;

- სპორტული ფესტივალი 2019-ის - „სპორტი ბარიერების გარეშე“ მუნიციპალური და რეგიონული თამაშების (ფეხბურთი, კალათბურთი, მაგიდის ჩოგბურთი, სპრინტი, ჭადრაკი) ორგანიზება;

- ქ. ქუთაისში გამართული გარემოსდაცვითი რეგიონული კონკურსის (ნიკო კეცხოველის სასკოლო პრემია) მონაწილე ამბროლაურის მუნიციპალიტეტის გუნდის დაჯილდოება (გადაეცათ ბ. ბრეგვაძის წიგნი, 10 ეგზემპლარი);

- 26 მაისის კულტურული ღონისძიების ორგანიზება (5490 ლარი);

- ბავშვთა დაცვის საერთაშორისო დღის - 1 ივნისისადმი მიძღვნილი ღონისძიების ორგანიზება (3000 ლარი);

- სამოყვარულო ფეხბურთის (11X11) ჩემპიონატის მუნიციპალური ფესტივალის ორგანიზება;

- ინტელექტის დღის ფარგლებში, ინტელექტუალური თამაშის ,,რა? სად? როდის?“ სასკოლო ვარიანტის მუნიციპალური ღონისძიების ხელშეწყობა;

- მოძრავი თამაშების (მხიარული სტარტები) მუნიციპალური და რეგიონული ფესტივალის ორგანიზება;

- სსიპ ჩრდილების პროფესიული სახელმწიფო თეატრი "აფხაზეთის" (ბუდრუგანა - გაგრა) გასტროლის ორგანიზება;

- პროექტ „სინემანიას“ ფარგლებში ღია ცის ქვეშ კინოჩვენების ორგანიზება;

- ა(ა)იპ „დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების“ პროექტ „განავითარე შენი რეგიონი/ქალაქი“ დაფინანსება (ტური კაპადოკიაში 2 მოზარდი - 900 ლ.);

- საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროსადმი შესაბამისი მიმართვის გაგზავნა სპორტის ორი მოღვაწისთვის (ბონდო სარდანაშვილი, ავთანდილ კიკვაძე) დამსახურებული მწვრთნელის წოდების მინიჭების თაობაზე;

- მსოფლიოს და ევროპის ჩემპიონებისა და პრიზიორების - ავთანდილ და ნიკა კენჭაძეებისთვის ინდ. სუვენირების („ვეფხი და მოყმე“ – 2620 ლ) დამზადება და ჭრებალოს დარბაზისადმი მათი სახელის მინიჭების ინიცირება;

- გაერთიანებული ერების ორგანიზაციის (გაეროს) მიერ ორგანიზებული მდგრადი განვითარების ფესტივალის თანადაფინანსება (9975 ლ);

- სსიპ „ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის“ პროექტის „ახალგაზრდა ხელოვანის“, (პროექტი გულისხმობს 14-18 წლის დამწყები პროზაიკოსებისა და მხატვრების წარმოჩენას და მათ განვითარებას) განხორციელების ხელშეწყობა;

- კოკა-კოლას თასის გათამაშებაზე მუნიციპალიტეტის საფეხბურთო გუნდის ტრანსპორტირება (დაბა კვარიათი; 400 ლარი);

- სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის გასტროლის დაფინანსება (რობერტ სტურუას საავტორო სპექტაკლი „თორმეტი განრისხებული მამაკაცი“ - 2000 ლარი);

- სსიპ ნოდარ დუმბაძის სახელობის მოზარდ მაყურებელთა თეატრის გასტროლის დაფინანსება („რწყილი და ჭიანჭველა“, „სპლიყვი ფანტი“ და კონცერტი „მუსიკალური შოუ ზღაპართა ქვეყანაში“ - 1600 ლარი);

- სსიპ თბილისის პეტროს ადამიანის სახელობის სომხური პროფესიული სახელმწიფო დრამატული თეატრის გასტროლის დაფინანსება (ნოდარ დუმბაძის „საბრალდებო დასკვნა“ – 2450ლარი);

- ამბროლაურის მუნიციპალიტეტში (ზაფხულის სეზონი) ჩატარებულ საცხენოსნო შეჯიბრში გამარჯვებულ მონაწილეებისთვის სასაჩუქრე ვაუჩერების (3 ცალი - 100 ლარიანი ნომინალით) შესყიდვა საერთო ღირებულებით - 300 (სამასი) ლარი;

- ა(ა)იპ „დამოუკიდებელ ბავშვთა და სტუდენტთა გაერთიანების“ პროექტ ,, I see you- გაიცანი ამბროლაურის მუნიციპალიტეტი“-ს მონაწილე 150 ლიდერი ახალგაზრდის ბანაკში (ამბროლაურის მუნიციპალიტეტი) დასვენების თანადაფინანსება. თანადაფინანსების წილი 4950(ოთხი ათას ცხრაას ორმოცდაათი) ლარი;

- ა(ა)იპ ამბროლაურის სასპორტო სკოლის კარატისტთა გუნდის (მ/წ ივნისის თვეში ქალაქ ერევანში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე წარმატებით იასპარეზა და მოიპოვა სხვადასხვა სინჯის მედლები) 7 წევრისთვის (1 - მწვრთნელი, 6 - სპორტსმენი) სასაჩუქრე ვაუჩერების (1 ცალი - 90 ლარიანი ნომინალით, 6 ცალი - 60 ლარიანი ნომინალით) შესყიდვა. საერთო ღირებულება - 450 (ოთხას ორმოცდაათი) ლარი;

- ამბროლაურის მუნიციპალიტეტში (შემოდგომის სეზონი) ჩატარებულ საცხენოსნო შეჯიბრში გამარჯვებულ მონაწილეებისთვის პრიზების შესყიდვა საერთო ღირებულებით - 499 (ოთხას ოთხმოცდაცხრამეტი) ლარი;

- ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N124, 26/12/2018 წლის განკარგულებით დამტკიცებული - ,,ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლის მოსწავლეთა საზაფხულო ბანაკის პროგრამის” შესაბამისად 13 სოციალურად დაუცველი მოზარდის 10 დღით გამგზავრება ქ. ქობულეთში აქტიური დასვენებისთვის. საერთო ღირებულებით - 10175,5 (ათიათას ას სამოცდათხუთმეტი) ლარი;

- შ.პ.ს. „ჯეო ივენთ ჯგუფის“ კულტურული პროექტის დაფინანსება (მსახიობ მურმან ჯინორიასა და მომღერალ ლაშა ღლონტის საღამო) საერთო ღირებულებით - 3000 ლარი;

- სახალხო დღესასწაული ,,ფუძეობა - 2019“-ის ორგანიზება, საერთო ღირებულებით - 29075 (ოცდაცხრა ათას სამოცდათხუთმეტი) ლარი;

- ა(ა)იპ სოფლისა და სოფლის მეურნეობის განვითარების სააგენტოს რაჭა-ლეჩხუმისა და ქვემო სვანეთის რეგიონული სამსახურის მიერ, საქართველოს ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალის ფარგლებში გამართული აგრო ფესტივალი 2019 - ის თანადაფინანსება, საერთო ღირებულებით - 1300 (ათას სამასი) ლარი;

- სსიპ საქართველოს ფოლკლორის სახელმწიფო ცენტრის მიერ გამართული საქართველოს ფოლკლორის საერთაშორისო ფესტივალის თანადაფინანსება, საერთო ღირებულებით - 2126 (ორიათას ას ოცდაექვსი) ლარი;

- ევროპის სპორტის კვირეულის ორგანიზება და მის ფარგლებში გამართული სპორტული მარათონისთვის (ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N120, 26/12/2018 წლის განკარგულებით დამტკიცებული - ,,ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სპორტული ღონისძიებების პროგრამა”) აქსესუარების (მაისური, კეპი, სიგელი) შესყიდვა, საერთო ღირებულებით 3000 (სამი ათასი) ლარი, ასევე გამარჯვებულთა (8 პირი - თითოეულს 100 ლარი) დაჯილდოება, თანხის საერთო ოდენობა 800 ლარი;

- ევროპის მემკვიდრეობის დღეების ფარგლებში კომპოზიტორ ზაზა კილასონიას შემოქმედებითი საღამოს ორგანიზება, საერთო ღირებულებით 3000 (სამი ათასი) ლარი;

- ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N39, 27/12/2017 წლის დადგენილებით დამტკიცებული - ,,ამბროლაურის საპატიო მოქალაქის“ წოდების მინიჭების წესის შესაბამისად, ამბროლაურის საპატიო მოქალაქეთათვის წოდების მინიჭების დამადასტურებელი მედლების (4 ცალი) შესყიდვა, საერთო ღირებულებით - 1776 (ათას შვიდას სამოცდათექვსმეტი) ლარი;

- სსიპ შოთა რუსთაველის სახელობის სახელმწიფო თეატრის (ვალერიან გორგოშიძის საავტორო სპექტაკლი „სტუმარი“) გასტროლის დაფინანსება, საერთო ღირებულებით - 3000 (სამი ათასი) ლარი;

- სსიპ ქ. ჭიათურის აკაკი წერეთლის სახელობის სახელმწიფო დრამატული თეატრის (მამუკა ცერცვაძის საავტორო სპექტაკლი „მოუხელთებელი“) გასტროლის დაფინანსება, საერთო ღირებულებით - 1000 (ერთი ათასი) ლარი;

- საჯარო ლექციის (თემა - სუიციდი) ორგანიზება;

- საახალწლო ღონისძიებების (საახალწლო სოფელი, გალა-კონცერტი, ფოიერვერკი, 150 ცალი საბავშვო სასაჩუქრე პაკეტი) ორგანიზება (26651 ლარი);

ასევე გაცნობებთ, რომ ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N123, 26/12/2018 წლის განკარგულებით დამტკიცებული - ამბროლაურის მუნიციპალიტეტის ახალგაზრდულ ღონისძიებათა დაფინანსების პროგრამის ფარგლებში დაფინანსებულია 13 პროექტი, საერთო ღირებულებით - 14 957 ლარი;

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N122, 26/12/2018 წლის განკარგულებით დამტკიცებული - ,,ამბროლაურის მუნიციპალიტეტის განათლების სფეროში საპატიო წოდებების მინიჭებისა და განათლების ხელშეწყობის პროგრამის” ფარგლებში გაცემულია: 18 ფულადი ჯილდო - საერთო რაოდენობით - 6800 ლარი, 4 ერთეული პორტაბელური კომპიუტერი - საერთო ღირებულებით 5488 (ხუთ იათას ოთხას ოთხმოცდარვა) ლარი, დაფინანსებულია 4 სოციალურად დაუცველი სტუდენტი - ჯამური თანხით 7125 ლარი;

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N121, 26/12/2018 წლის განკარგულებით დამტკიცებული - ,,ამბროლაურის მუნიციპალიტეტის კულტურისა და სპორტის სფეროში საპატიო წოდებების მინიჭებისა და ჯილდოს გაცემის პროგრამის" ფარგლებში გაცემულია: 27 ფულადი ჯილდო - საერთო რაოდენობით - 22100 ლარი;

ამბროლაურის მუნიციპალიტეტის საკრებულოს N126, 26/12/2018 წლის განკარგულებით დამტკიცებული - ,,ამბროლაურის მუნიციპალიტეტზე უანგარო მზრუნველის წოდების მინიჭების პროგრამის" ფარგლებში გამოვლინდა სამი პირი. შესაბამისად გაცემულია 3 ფულადი ჯილდო - საერთო რაოდენობით - 900 ლარი;

საანგარიშო პერიოდში სულ დაფინანსებულია 16 კულტურული პროექტი საერთო თანხით - 86959 ლარი.

2019 წლის სამსახურის ბიუჯეტი შეადგენდა - 188 300 ლარს, აქედან გახარჯულია 184 500 ლარი (ათვისების ინდიკატორი - 97,9%).

❖ შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახური

საანგარიშო პერიოდში ფინანსური და შესაბამისობის შიდა აუდიტორული შემოწმება ჩაუტარდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის დაფუძნებულ ოთხ ა(ა)იპ-ს. აღსანიშნავია რომ ფისანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტის (ჰარმონიზაციის ცენტრი) მხარდაჭერით განხორციელდა ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის შესყიდვების ინიცირებისა და დაგეგმვის პროცესის სისტემური შიდა აუდიტორული შემოწმება, რომელშიც აუდიტის ჯგუფის წევრებთან ერთად ჩართული იყო პროექტის ფარგლებში მოწვეული ექსპერტი. რამდენადაც სისტემური აუდიტი განხორციელდა პირველად - პილოტურ რეჟიმში, პროცესის შეფასებასთან ერთად, მისი მიზანი იყო შიდა აუდიტის და ინსპექტირების სამსახურის თანამშრომლების აუდიტორული უნარ-ჩვევების გაუმჯობესება სისტემური აუდიტის მიმართულებით.

საანგარიშო პერიოდში განხორციელდა ოთხი აუდიტორული ანგარიშის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების მონიტორინგი.

შიდა აუდიტორულმა შემოწმებებმა მოიცვა ბიუჯეტიდან გამოყოფილი დაფინანსების მიზნობრიობის, ძირითადი საშუალებების აღრიცხვა-ანგარიშგების, გაწეული ხარჯების აღრიცხვის, სახელმწიფო ბიუჯეტთან ანგარიშსწორების მდგომარეობის, სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების სისწორე და სხვა ორგანიზაციული საკითხები.

აუდიტის ობიექტებში შესწავლილი იქნა ის რისკები, რომლებმაც შესაძლოა უარყოფითი გავლენა იქონიოს დაწესებულების მიზნების მიღწევასა და ამოცანების შესრულებაზე. თითოეულ ანგარიშში დეტალურად იქნა აღწერილი ის აუდიტორული აღმოჩენები, რომლებიც აუდიტორების მიერ მიჩნეული იქნა კანონთან შეუსაბამოდ.

გეგმა-შესრულების ანალიზი

აღნიშნული მოიცავს წლიური გეგმით გათვალისწინებული შიდა აუდიტორული შემოწმების მიზნებისა და მათი განხორციელების პროცესის აღწერას.

N	აუდიტის ობიექტი	აუდიტის სახე	სტატუსი	შენიშვნა
1	ა(ა)იპ ამბროლაურის კულტურის ცენტრი	ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	დასრულებულ	გეგმიური
2	ა(ა)იპ ჭიდაობის კლუბი ,,ფალავანი“	ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	დასრულებული	გეგმიური
3	შესყიდვების ინიცირებისა და დაგეგმვის პროცესი	სისტემური	დასრულებული	გეგმიური
4	ა(ა)იპ ამბროლაურის სასპორტო სკოლა	ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	დასრულებული	გეგმიური
5	ა(ა)იპ ამბროლაურის მოსწავლე ახალგაზრდობის ცენტრი	ფინანსური და შესაბამისობის აუდიტი	დასრულებული	გეგმიური
6	ა(ა)იპ დავით თორაძის სახელობის სამუსიკო სკოლა	მონიტორინგი	დასრულებული	გეგმიური
7	ა(ა)იპ ,,ამბროლაურის უჩა ჯაფარიძის სახელობის სამხატვრო სკოლა“	მონიტორინგი	დასრულებული	გეგმიური
8	ა(ა)იპ ამბროლაურის დასუფთავებისა და კეთილმოწყობის სამსახური	მონიტორინგი	დასრულებული	გეგმიური
9	შპს,,ახალი ტრანსპორტი“	მონიტორინგი	დასრულებული	გეგმიური

შიდა აუდიტორული შემოწმების შედეგებიდან გამომდინარე აუდიტის ობიექტებს მიეცათ სათანადო რეკომენდაციები.

საანგარიშო პერიოდში ინსპექტირების განყოფილების მიერ განხორციელდა სამი დისციპლინური წარმოება :

-ამბროლაურის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო მოსამსახურეთა მიმართ სამსახურში გამოცხადებასთან დაკავშირებით.

- სოფლის მხარდაჭერის პროგრამით გათვალისწინებული დასრულებული სამუშაოების მიღება-ჩაბარების კომისიის წევრების მიმართ.

- საქართველო მთავრობის 2019წლის 16 აგვისტოს N1855 განკარგულებით ,,ამბროლაურის მუნიციპალიტეტის სასარგებლო წიაღისეულის მოპოვების

ლიცენზიისაგან განთავისუფლების თაობაზე'' დაკისრებული ვალდებულებების შეუსრულებლობის ფაქტის შესწავლის, დისციპლინური გადაცდომის ჩამდენი პირების გამოვლენისა და დასციპლინური გადაცდომის თანაზომიერი დისციპლინური პასუხისმგებლბის ზომის განსაზღვრის მიზნით. რის შედეგადაც გაიცა რეკომენდაციები: ერთი საჯარო მოსამსახურის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ,,საყვედურის" დაკისრების შესახებ; რვა საჯარო მოსამსახურის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობი ზომის ,,თანამდებობრივი სარგოს 10% -დან 56% მდე დაკავება ერთიდან ექვს თვემდე ვადით" დაკისრების შესახებ; ერთ საჯარო მოსამსახურის მიმართ დისციპლინური პასუხისმგებლობი ზომის ,,გაფრთხილების" დაკისრების შესახებ.

ამასთან ერთად ინსპექტირების განყოფილება ანხორციელებს კონტროლს საჯარო მოსამსახურეთა სამსახურში გამოცხადებაზე და ყოველთვიურად წარუდგენს მერს ინფორმაციას აღნიშნულთან დაკავშირებით.

საანგარიშო პერიოდში საქართველოს ფინანსთა სამინისტროს სახელმწიფო შიდა კონტროლის დეპარტამენტმა(ჰარმონიზაციის ცენტრი) პროექტის ,,გამართული შიდა კონტროლის სისტემა ეფექტური თვითმმართველობისათვის" ფარგლებში ჩვენს მუნიციპალიტეტში გამართა სამუშაო შეხვედრა სადაც განხორციელდა ფინანსური მართვისა და კონტროლის არსებული მდგომარეობის შეფასება და რეგიონის შიდა აუდიტორებისათვის ჩატარდა პრაქტიკაზე ორიენტირებული შეხვედრა/ტრენინგი რომელშიც მონაწილეობა მიიღო სამსახურის ყველა თანამშრომელმა.

სამხედრო აღრიცხვის, გაწვევისა და მობილიზციის სამსახური

2019 წლის საგაზაფხულო გაწვევის გეგმა-დავალება ამბროლაურის მუნიციპალიტეტისათვის შეადგენდა 8(რვა) წვევამდელს. აქედან: შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ ქვედანაყოფებში - 3(სამი) წვევამდელი, თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში - 5(ხუთი) წვევამდელი.

სულ ჩარიცხულია 5(ხუთი) წვევამდელი, აქედან:

შინაგან საქმეთა სამინისტროს გასამხედროებულ ქვედანაყოფებში - 2(ორი) წვევამდელი. თავდაცვის სამინისტროს შეიარაღებულ ძალებში - 3(სამი) წვევამდელი. შსს დაცვის პოლიციაში კი- 2 წვევამდელი.

30-ე მუხლის საფუძველზე მიიღო გადავადება 63 წვევამდელმა.18 წვევამდელმა მიიღო გადავადება ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო, 30 წვევამდელმა წარმოადგინა ,,ბიბლიური თავისულების" მოწმობა.

2019 წლის საშემოდგომო გაწვევის გეგმა-დავალება ამბროლაურის მუნიციპალიტეტისათვის შეადგენდა 9(ცხრა) წვევამდელს.

შსს დაცვის პოლიციაში ჩაირიცხა 5 წვევამდელი. 2 წვევამდელი კი სახელმწიფო დაცვის სამსახურში.

30-ე მუხლის საფუძველზე მიეცა გადავადება 53 წვევამდელს. აქედან 35 წვევამდელმა წარმოადგინა ,,ბიბლიური თავისულების " მოწმობა, 5 წვევამდელმა გადავადება მიიღო ჯანმრთელობის მდგომარეობის გამო.

მე შევეცადე, შესაძლებლობის ფარგლებში, მოკლედ წარმომედგინა 2019 წელს განხორციელებული საქმიანობა. დამეთანხმებით, რომ ერთი წლის მანძილზე მუნიციპალიტეტში საკმაოდ ეფექტური სამუშაოები შესრულდა, თუმცა არსებობდა

პრობლემებიც. დარწმუნებული ვარ, 2020 წელი გაცილებით წარმატებული იქნება და ყველა ის ხარვეზი აღმოიფხვრება, რაც გასულ წელს დაფიქსირდა.

დიდი მადლობა მინდა გადაგიხადოთ თითოეულ თქვენგანს, ნაყოფიერი თანამშრომლობისთვის. დარწმუნებული ვარ ჩვენი თანამშრომლობა მომავალშიც კონსტრუქციული იქნება და კიდევ ბევრი პროექტი თუ პროგრამა განხორციელდება, რომლებიც ხელს შეუწყობს მუნიციპალიტეტის სოციალურ-ეკონომიკური მდგომარეობის განვითარებას და ადგილობრივი მოსახლეობის ცხოვრების პირობების გაუმჯობესებას.

გმადლობთ ყურადღებისთვის!